პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე მოდიფიცირებული პროგრამა

„სასტუმრო მომსახურება“

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა - სასტუმრო მომსახურება; Hotel Service (პროგრამა ასევე შემუშავებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 19 აგვისტოს N170/ნ ბრძანების საფუძველზე)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანანთლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზე შექმნილია პროგრამა - 10.3.1

მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმრო მომსახურებაში; Secondary Vocational Qualification in Hotel Service

მიზანი - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის უზრუნველყოს სასტუმრო საქმის სპეციალისტების მომზადება.

კვალიფიკაციის დონე - 5.1 ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე

კლასიფიკაციის აღწერა

1.1 ISCED კოდი და აღწერა - 1013 მომსახურებები - *შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში. ასევე მოიცავს სასტუმრო და სარესტორნო საქმის, სასტუმროს მიმღების მომზადებისა და სასტუმროს მომსახურებეების პროგრამებს.*

1.2 ISCO კოდი - 1411 სასტუმროს მენეჯერები;

1.3 ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 55.10.1 სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნებით

დასაქმების შესაძლებლობები - სასტუმრო საქმის სპეციალისტი შეიძლება დასაქმდეს საოჯახო ტიპისა და მცირე ტიპის სასტუმროს მმართველად, ან ნებიმიერი ტიპის სასტუმროსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებაში (რესტორნით და რესტორნის გარეშე) მიღება-განთავსების, ჯავშნებისა და სამეურნეო განყოფილების სპეციალისტად.

დაშვების წინაპირობა:

სრული ზოგადი განათლება;

საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

სწავლის შედეგები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. უზრუნველყოს სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვა;
2. უზრუნველყოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურები;
3. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება;
4. უზრუნველყოს კვებისა და სასმელების მომსახურება;
5. უზრუნველყოს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის წარმართვა;
6. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოება;
7. უზრუნველყოს სასტუმროს პრობლემური სიტუაციების მართვა;
8 უზრუნველყოს სასტუმროს მარაგებისა და შესყიდვების კონტროლი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

„სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (კოოპერაციული მიდგომით) ითვალისწინებს 16 პროფესიულ მოდულს ჯამური 69 კრედიტის მოცულობით 3 ზოგად მოდულს, 9 კრედიტის მოცულობით და 1 არჩევით მოდულს, 5 კრედიტის მოცულობით.

„სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის კოოპერაციული მიდგომით განხორციელებისას პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 74 კრედიტის დაგროვება.

მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 74 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 58 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 104 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 78 კვირა.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
უცხოური ენა - ინგლისური	3		დისტანციური
მეწარმეობა	4		
ინფორმაციული წიგნიერება	2		დისტანციური
სულ:	**9**		
პროფესიული მოდულები			
გარემოსდაცვითი საფუძვლები	2		დისტანციური
სტუმარმასპინძლობის შესავალი	3		დისტანციური
ეთიკა და ეტიკეტი მომსახურების სფეროში	2	√	
სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	6	√	
სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა	9	√	
სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	5	√	
სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	5	√	
სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3	√	
შესყიდვებისა და მარაგების კონტროლი	5	√	
პრობლემური სიტუაციების მართვა	3	√	
სასტუროს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის უზრუნველყოფა	5	√	
ინგლისური ენა მომსახურების სფეროსთვის	6		დისტანციური
მეორე უცხო ენა მომსახურების სფეროსთვის	6		დისტანციური
სულ:	**60**		
არჩევითი მოდული			
საწარმოო პრაქტიკა	5		
სულ: ჯამი			**74**

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ინტეგრირებული მიდგომით **(იმ სასწავლო გეგმაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები)** ითვალისწინებს 13 პროფესიულ მოდულს ჯამური 60 კრედიტის მოცულობით, 1 ზოგად მოდულს, 3 კრედიტის მოცულობით, 7 ზოგად ინტეგრირებულ მოდულს, 34 კრედიტის მოცულობით და 1 არჩევით მოდულს, 5 კრედიტის მოცულობით.

„სასტუმრო მომსახურების“ პროგრამის იმ სასწავლო გეგმით განხორციელებისას, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭიროა ჯამურად 102 კრედიტის დაგროვება.
მოდულების „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელთა შერჩევაც, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ 28-ე მუხლის (გარდამავალი დებულებები) პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხორციელდება რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 102 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 74 კვირა;
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 132 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართლენოვანი სტუდენტებისთვის - 94 კვირა.

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდული			
უცხოური ენა - ინგლისური	3		დისტანციური
სულ:	**3**		
ზოგადი ინტეგრირებული მოდულები			
მეწარმეობა	4		
კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8		
მათემატიკა	7		
მოქალაქეობა	6		
მეცნიერება და ტექნოლოგიები	6		
ესთეტიკა	1		
სპორტი	2		
სულ:	**34**		
პროფესიული მოდულები			
გარემოსდაცვითი საფუძვლები	2		დისტანციური
სტუმარმასპინძლობის შესავალი	3		დისტანციური
ეთიკა და ეტიკეტი მომსახურების სფეროში	2	√	
სასტუმროს პერსონალისა და ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	6	√	
სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა	9	√	

სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	5	√	
სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	5	√	
სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3	√	
შესყიდვებისა და მარაგების კონტროლი	5	√	
პრობლემური სიტუაციების მართვა	3	√	
სასტუროს გაყიდვებისა და მარტივი მარკეტინგული საქმიანობის უზრუნველყოფა	5	√	
ინგლისური ენა მომსახურების სფეროსთვის	6		დისტანციური
მეორე უცხო ენა მომსახურების სფეროსთვის	6		დისტანციური
სულ:	**60**		
არჩევითი მოდული			
საწარმოო პრაქტიკა	5		
სულ:	**5**		
სულ ჯამი:		**102**	